

**მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსახლოდნელი შედეგები და შეფასების  
ინდიკატორები 2020-2023 წლებისთვის**

**თავი პირველი  
ზოგადი ინფორმაცია**

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარნეული.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია – 935,2 კმ<sup>2</sup> და ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ. სიმაღლეზე. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს. მუნიციპალიტეტის ფართობია 935,2 კმ<sup>2</sup>; გზების სიგრძე - 540 კმ. მუნიციპალური დანიშნულების გზის საერთო სიგრძე 220 კმ-ა, ხოლო შიდა საუბნო - 320 კმ.

**ისტორია**

მარნეულის მუნიციპალიტეტი დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწვრივი მდინარე ალგეთის მარვენა მხარეს. დასახლებული პუნქტი იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. მარნეული ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს.

**კლიმატი**

მარნეულის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში მდებარეობს და, რელიეფის შესატყვისად, ჰავის ზონალურობა ახასიათებს. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა, ზაფხული ცხელია. ჰავის საშუალო წლიური ტემპერატურა იანვარში 0 – +0.30-ია, ივლისში – +23.90, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 25-ია, აბსოლუტური მაქსიმალური კი +40. ნალექები – 490-500 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მასშია, ხოლო მინიმალური – დეკემბერში.

იაღლუჯის მაღლობზე, აგრეთვე, ლოქის ქედსა და ბაბაკირის სერზე ჰავა რამდენადმე განსხვავებულია, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გადადის. დამახასიათებელია მზიანი ამინდების ხანგრძლივობა. მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატი იდეალურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, იგი პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

**ტერიტორიული მოწყობა და მოსახლეობა**

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 78 დასახლებაა, 77 სოფელი და 1 ქალაქი (ასევე, მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე სოფელი, რომელიც არ ფიქსირდება დებულებით).

2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 106 454 ადამიანი, აქედან 22 244 ადამიანი ცხოვრობს ქ. მარნეულში, ხოლო დანარჩენი სოფლის ტიპის დასახლებაში.

2014 წლის, მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 104 300 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბაიჯანელები – 83.1 %, ქართველები – 8,03 %, სომხები – 7, 89 %, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების მოქალაქეები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19.4% (20 211 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80. 6% (84 089 კაცი) - სოფელად.

ასაკობრივი ჭრილის მიხედვით 0-5 წლამდე მოსახლეობა შეადგენს 12 009 კაცს, 6-17 წლამდე - 22 650 კაცს, 18-59 წლამდე - 84 916 კაცს, 60-64 წლამდე - 6030 კაცს, ხოლო 65 წელს ზევით 11 709 კაცს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19,3% (28 000 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80,7% (108 803 კაცი) - სოფელად. პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს - 18 534 ადამიანს. სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა - 17 737 მოსწავლე.

მოსახლეობის სიმჭიდროვე - 103 ადამიანი 1 კვ. კმ-ზე.

სოციალურად დაუცველთა რაოდენობა - 2 226 ბენეფიციარი.

მაღალმთან დასახლებებში მაცხოვრებლების რაოდენობა - 1 841 ადამიანი;

### **მუნიციპალიტეტის კონომიკური საქმიანობა**

2004 წლიდან მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ზრდის ტენდენციები, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს. ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა (50%-ზე მეტი), ვაჭრობა (25%), გადამამუშავებელი მრეწველობა (15%), სხვა დარგებზე (ძირითადად მშენებლობა, მომსახურება) მოდის ეკონომიკის ხვედრითი წილის 10%. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 9 151 სამეწარმეო სუბიექტი. „საქართაობის 2013-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 2,020 საწარმოო სუბიექტი.

### **სოფლის მეურნეობა**

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების საერთო რაოდენობა შეადგენს 58 507 ჰა-ს, საიდანაც 31 600 ჰა სახნავია, 1 999 ჰა სათიბი, 1 942 მრავალწლიანი ნარგავი და 22 960 ჰა საძოვარი. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად დარგს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 50%. საქართველოს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იქნა 28 882 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმო და მეურნეობა. მათგან 98,8% (28 818) წარმოადგენს ოჯახურ მეურნეობას. აღწერის შედეგების თანახმად, სასოფლო მეურნეობების 37,2% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 62,4% – ძირითადად რეალიზაციისათვის.

სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილია 96 საწარმო .

გაშენებული ახალი ხეხილის ბალი – 8.47 ჰექტარზე კავლის ბალი;

2017-2018 წლებში პროექტ „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაცემულია 1 588 927 ლარი 43 ბენეფიციარზე;

იაფიანი აგრო კრედიტის ფარგლებში 25 ბენეფიციარი (2017-2018 წლები) – 8 115 903 ლარი;

მიკრო და მცირე მეწარმეობის დაფინანსებული პროექტი – მიღებული გრანტით დაფინასებული 16 კოოპერატივი; (139 – ადამიანი);

ფუნქციონირებს 37 ფერმერული მეურნეობა.

### **მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია**

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 29 280 367,42 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 19 180 964,54 ლარს, ხოლო

დარჩენილი 10 099 402,88 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი – 6 003 800 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 3 465 820,00 ლარი, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 379 782 ლარს, აქედან 336 244 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დარჩენილი ნაშთი, 36478 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, ხოლო 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან.

რაც შეეხება 2018 წლის 12 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები 12 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 26 388 931,00 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 26 779 170,58 ლარი, რაც გეგმის 101,5 %–ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 25 473 931,00 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 25 986 694,91 ლარი, რაც გეგმის 102,0%–ია. 2018 წლის 12 თვის ფაქტიური შემოსავლები 15,8 %–ით მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2018 წლის გადასახადების 12 თვის გეგმა არის – 9 064 900,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 9 965 037,48 ლარი რაც გეგმის 109,9%–ს შეადგენს, გათანაბრებითი ტრანსფერი ფაქტიურად შემოსულია 12 თვის განმავლობაში 6 003 800,00 ლარი, რაც შეადგენს გეგმის 100,0 %–ს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000,00 ლარი – გეგმის 100,0 %–ი, კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 3 465 820,00 ლარი, რაც გეგმის 88,5%–ია. სხვა შემოსავლების 2018 წლის 12 თვის გეგმა იყო 6 689 411,00 ლარი, 12 თვის ფაქტმა შეადგინა 6 699 235,43 ლარი, რაც გეგმასთან შედარებით 100,1 %–ია. არაფინანსური აქტივების კლება 12 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 915 000,00 ლარი, ფაქტმა შეადგინა – 792 475,67 ლარი, ანუ გეგმის 86,6 %.

რაც შეეხება 2018 წლის 12 თვის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 21 484 830,97 ლარს ხაზინის ერთიანი სისტემის მიერ დაფიქსირებული რეპორტებით (დანართი №2), ფაქტიურად გადასახდელებმა შეადგინა 21 484 829,17 ლარი, რაც გამოწვეულია ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუსიკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“–ს მიერ უკან მობრუნებული თანხის 1,80 ლარის ხაზინის მიერ არასრულად ასახვის (დაუბალანსებლობის) გამო .

აღნიშნული თანხა პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით გახარჯული იქნა შემდეგნაირად:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 1 089 816,12 ლარს.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 3 867 239,88 ლარს.
3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 99 177,27 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №1 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 184 012,00 რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 102 058,00 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხა შეადგენს 100,00 ლარს.
7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 203 008,89 ლარს.

8. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 9 530 725,86 ლარი.
9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 2 605 248,34 ლარი.
10. სპორტულ, კულტურულ და რელიგიურ ღონისძიებებზე გაიხარჯა 2 639 151,92 ლარი.
11. 2018 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 160 997,26 ლარი.
12. სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 1 047 028,7 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 716 642 ლარი, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით – 328 635 ლარი, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1750 ლარი.

2018 წელს განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ✓ 156 401,84 ლარი სოფ. ქუთლიარის გზების რეაბილიტაცია, აქედან 148582 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 7819.84 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 310 474 ლარი სოფ. ლექბადინში შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 170 450,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 140 024 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 160 639,4 ლარი -სოფ. მუღანლოს შიდა გზების რეაბილიტაცია. აქედან 88 191,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 72 448.40 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 208 470 ლარი სოფ. შაუმიანის გზის (II ეტაპი) „რეაბილიტაციის სამუშაოები, აქედან 208 470 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 171 188.12 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 165 733,90 ლარი სოფ. ბაიდარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ნაწილი. აქედან 91 003,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 74 730,90 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 282 325,01 ლარი სოფ. კაჩაგანის გზის რეაბილიტაცია, აქედან 154 996,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 127 329,01 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 114365,63 ლარი სოფ. ხანჯიგაზლოს გზის რეაბილიტაცია, აქედან 62 787,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 51578,63 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 288 995.84 ლარი სოფ მარეთში კორპუსთან მისასვლელი გზისა და სოფ წითელსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია.
- ✓ 211 551,21 ლარი სოფ. ალგეთის შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 116 141,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 95 410,21 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 229 364,96 სოფ. თაქალოში შიდა გზების რეაბილიტაცია, აქედან 117 435 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 111 929.96 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 53 592 ლარი-სათვალთვალო ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენა.
- ✓ 30 462,15 ლარი სოფ. წერეთელში და სამერლოში ავტობუსების გაჩერებებზე გადახურული მოსაცდელების მოწყობა.

- ✓ 359 750,72 ლარი სოფ. თამარისში არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აქედან 124 566 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 235 184,72 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 63 663,60 ლარი ქ. მარნეულში წმინდა გიორგის ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 302 390,0 ლარ სოფ. დამია გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოები, აქედან 166 042 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 136 348 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 336 872,72 ლარი სოფ. იმირში სასმელი წყლის ჭაბურღილის და სატ. სადგურის მოწყობა, აქედან 181 912,0 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 480\_მთავრობის\_განკ.\_14/03/2017, ხოლო 154 960,72 ლარი საბიუჯეტი სახსრები.
- ✓ 48 915,91 ლარი ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობა (მიმდინარე წელს) ს აზიზქენდში არს. სატუმბ სადგ. ელექტ. გად. ხაზების გაყვანა/მონტაჟის სამუშაო.
- ✓ 2507,33 ლარი სოფ. ბურმაში წყალსადენი ქსელის მოწყობა.
- ✓ 9064,0 ლარი სოფლებში ბეითარაბჩი, აღმამედლო, ცოფი, ახვერპი, დამია წყლის ტუმბოს შეძენა–მონტაჟი.
- ✓ 257 732,0 ლარი სოფ. კირაჩ მუღანლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყ სამუშაოები, აქედან 72 887 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 184 845 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 333 123,21 ლარი სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, აქედან 166 354 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 166 769,21 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 44 891,63 ლარი სოფ. თაზაქენდში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარზე მილსადენის დაერთების სამუშაოები.
- ✓ 78 495,17 ლარი სოფ. ხოჯორნში წყალმომარაგებისა და წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 77944,50 ლარი სოფ. ცოფში, კასუმლოში და იმირში გარე განათების მოწყობა.
- ✓ 43089,84 ლარი ქ. მარნეულში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების გარე განათების მოწყობის ხარჯი.
- ✓ 26 208,63 ლარი სოფ. თამარიში არსებული რიტუალების სახლის რეაბილიტაცია.
- ✓ 26 802,04 ლარი სოფ. წერეთელში არსებული სკვერის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ✓ 26 547,79 ლარი სოფ. დიდ მუთანლოში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ 2 781,9 ლარი სოფ. მარადისში სკვერის მოწყობა.
- ✓ 50 000,0 ლარი მარნეულიც მონუმენტ ძეგლის "კიდევაც დაიზრდებიან" ის რეაპილიტაციის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყ. სამუშაოები, აქედან 20 300 ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 136\_მთავრობის\_განკ.\_18/01/2018, ხოლო 29 700 ლარი საბიუჯეტო სახსრები.
- ✓ 329 661,41 ლარი გახარჯულია სოფ. საიმერლოში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე.
- ✓ 44 308,92 ლარი ქ. მარნეულში, N4 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.
- ✓ 31 719,68 ლარი სოფ შაუმიანში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე დამზმარე შენობის მოწყობის სამუშაოები.
- ✓ 50 385,17 ლარი – სოფ. ახვერპში მინი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა.
- ✓ 76 181,22 ლარი – სოფ. ალავარში კომბინირებული მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედანის მოწყობა.

- ✓ 31 362,70 ლარი – ქ. მარნეულში ბაქოს და შარიფოვის ქუჩების მიმდებარედ არსებული სტადიონის შემოღობვის სამუშაოები.
- ✓ 70 643,93 ლარი –სოფ. თაქალოში კომბინირებული მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნის მოწყობა.
- ✓ 68 481.27 ლარი – ს. წერეთლის კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო.

### **მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია**

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 44,147,151,76 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 32,144,417.48 ლარს, ტრანსფერი - 12,002,734.28 ლარს.

შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) განსაზღვრულია 35,944,003.40 ლარით, აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა შეადგენს 25,474,973 ლარს, ხოლო დარჩენილი 10,469,210.40 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250,000.0 ლარი და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი – 2 335 759,40 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 5,012,697.0 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი – 1 232 000,00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 554 განკარგულებით „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხა –438,754.00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 აგვისტოს № 1733 განკარგულებით „სტიქის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ გამოყოფილი ტრანსფერი -1,200,000.0 ლარი .

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 8220702,83 ლარს, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებული იქნა 17554,47 ლარი, მათ შორის 7622,47 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 9932,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14,03, №420 განკარგულების ნაშთი(სოფ.იმირის სასმელის წყლის და სატუმბო სადგურის მშენებლობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია). დარჩენილი 8203148,36 ლარიდან 6669624,48 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 1 533 523,88 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 100 129,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სასწრაფოს შენობის მშენებლობა), 30 991,41 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფლის პროექტები), 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.შაუმიანის ხიდის მშენებლობა), 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით

გამოყოფილი თანხიდან (სოფ.სადახლოს,აღმამედლოს, კირაჩ-მუღანლოს სასმელი წყალი, მდ.დებედას ნაპირსამაგრი და ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ პროექტების ნაშთი).

რაც შეეხება 2019 წლის 9 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 29,396,709.10 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 26,036,190.13 ლარი, რაც გეგმის 89%-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 29,096,709.10 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 25,834,172.81 ლარი, გეგმის 89%-ი. 2019 წლის ცხრა თვის ფაქტიური შემოსავლები 52 %-ით მეტია 2018 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან.

2019 წლის გადასახადების ცხრა თვის გეგმა არის – 12,847,350.0 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 12,284,165.11 ლარი რაც გეგმის 96 %-ს შეადგენს.

გრანტები სულ შემოსულია 7,724,761.51 ლარი, რაც გეგმის 75 %-ია. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – გეგმა 187,500.0 ლარი– ფაქტი 187,200.0, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შემოსულია 1,127,440.11 ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად – 515 759,40 ლარი. კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 5,216,362.0 ლარი, რაც გეგმის 78%-ია.

სხვა შემოსავლების 2019 წლის ცხრა თვის გეგმა იყო 6,014,568.50 ლარი, ცხრა თვის ფაქტმა შეადგინა 5,825,246.19 ლარი, რაც გეგმის 97 %-ია.

არაფინანსური აქტივების კლება ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 300,000.0 ლარი, ფაქტმა შეადგინა – 202,017.32 ლარი, ანუ გეგმის 67 %.

რაც შეეხება 2019 წლის ცხრა თვის გადასახდელების შესრულებას სულ შეადგენს 29,289,720.79 ლარს. რაც 3,253,530.66 ლარით მეტია შემოსულობებზე და ასიგნებები დაფინანსებულია ნაშთის გამოყენებით. თავისუფალი ნაშთი შეადგენს 4,949,617.70 ლარს. გადასახდელებში ხარჯები შეადგენს 14,124,712.71 ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 48 %-ია არაფინანსური აქტივების ზრდა -15,023,596.08 ლარს, მთლიანი გადასახდელების 51 %, გადასახდელების 1% - 141,412.0 ლარი არის ვალდებულების კლება.

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 2019 წელს 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა:

- ინფრასტრუქტურის განვითარება – 16 641 381.35 ლარი;
- განათლება – 3 178 345.79 ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 2 977 036.18 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 131 510.72 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა – 1 833 263.83 ლარი;
- მმართველობა – 4 389 110.22 ლარი;
- თავდაცვა – 139 072.7 ლარი.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2020-2023 წლებში

| დასახელება | 2018წლ | 2019წ | 2020 | 2021წლ | 2022 | 2023 |
|------------|--------|-------|------|--------|------|------|
|------------|--------|-------|------|--------|------|------|

|                                       | ის<br>ფაქტი    | ლის<br>გეგმა   | წლის<br>გეგმა    | ის<br>პროგნ<br>ოზი | წლის<br>პროგნ<br>ოზი | წლის<br>პროგნ<br>ოზი |
|---------------------------------------|----------------|----------------|------------------|--------------------|----------------------|----------------------|
| შემოსავლები                           | <b>25986.7</b> | <b>35544.0</b> | <b>33329.942</b> | <b>32114.1</b>     | <b>36676.0</b>       | <b>42373.5</b>       |
| გადასახადები                          | <b>9965.0</b>  | <b>17129.8</b> | <b>20537.200</b> | <b>24182.5</b>     | <b>28742.4</b>       | <b>34435.9</b>       |
| გრანტები                              | <b>9322.4</b>  | <b>10469.2</b> | <b>4943.637</b>  | <b>410.6</b>       | <b>410.6</b>         | <b>410.6</b>         |
| სხვა შემოსავლები                      | <b>6699.2</b>  | <b>7945.0</b>  | <b>7849.105</b>  | <b>7521.0</b>      | <b>7523.0</b>        | <b>7527.0</b>        |
| ხარჯები                               | <b>15363.6</b> | <b>20248.8</b> | <b>19354.7</b>   | <b>19196.3</b>     | <b>21146.3</b>       | <b>19091.3</b>       |
| შრომის<br>ანაზღაურება                 | 3389.9         | 3765.5         | 3955.6           | 4117.8             | 4117.8               | 4117.8               |
| საქონელი და<br>მომსახურება            | 2957.3         | 3840.2         | 3259.0           | 3313.4             | 3319.1               | 3324.8               |
| პროცენტი                              | 102.1          | 53.2           | 40.3             | 30.0               | 24.3                 | 18.6                 |
| სუბსიდიები                            | 7455.7         | 9330.6         | 10078.7          | 9667.0             | 9617.0               | 9562.0               |
| გრანტები                              | 45.0           | 45.0           | 45.0             | 45.0               | 45.0                 | 45.0                 |
| სოციალური<br>უზრუნველყოფა             | 1162.5         | 1319.2         | 1512.0           | 1616.0             | 1616.0               | 1616.0               |
| სხვა ხარჯები                          | 251.1          | 1895.1         | 464.2            | 407.2              | 2407.2               | 407.2                |
| საოპერაციო სალდო                      | <b>10623.1</b> | <b>15295.2</b> | <b>13975.2</b>   | <b>12917.7</b>     | <b>15529.6</b>       | <b>23282.1</b>       |
| არაფინანსური<br>აქტივების<br>ცვლილება | <b>5144.8</b>  | <b>23307.2</b> | <b>13825.1</b>   | <b>12855.1</b>     | <b>15467.0</b>       | <b>23219.5</b>       |
| ზრდა                                  | 5937.2         | 23707.2        | 14045.1          | 13005.1            | 15597.0              | 23309.5              |
| კლება                                 | 792.5          | 400.0          | 220.0            | 150.0              | 130.0                | 90.0                 |
| მთლიანი სალდო                         | <b>5478.4</b>  | <b>-8012.0</b> | <b>150.1</b>     | <b>62.7</b>        | <b>62.7</b>          | <b>62.7</b>          |
| ფინანსური<br>აქტივების<br>ცვლილება    | <b>5294.3</b>  | <b>-8203.1</b> | <b>0.0</b>       | <b>0.0</b>         | <b>0.0</b>           | <b>0.0</b>           |
| ზრდა                                  | <b>5294.3</b>  | <b>0.0</b>     | <b>0.0</b>       | <b>0.0</b>         | <b>0.0</b>           | <b>0.0</b>           |
| ვალუტა და<br>დეპოზიტები               | 5294.3         | 0.0            | 0.0              |                    |                      |                      |
| კლება                                 | <b>0.0</b>     | <b>8203.1</b>  | <b>0.0</b>       | <b>0.0</b>         | <b>0.0</b>           | <b>0.0</b>           |
| ვალუტა და<br>დეპოზიტები               | 0.0            | 8203.1         | 0.0              |                    |                      |                      |
| ვალდებულებების<br>ცვლილება            | <b>-184.0</b>  | <b>-191.2</b>  | <b>-150.1</b>    | <b>-62.7</b>       | <b>-62.7</b>         | <b>-62.7</b>         |
| კლება                                 | 184.0          | 191.2          | 150.1            | 62.7               | 62.7                 | 62.7                 |
| საშინაო                               | 184.0          | 191.2          | 150.1            | 62.7               | 62.7                 | 62.7                 |
| ბალანსი                               | <b>0.0</b>     | <b>0.0</b>     | <b>0.0</b>       | <b>0.0</b>         | <b>0.0</b>           | <b>0.0</b>           |

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების  
ინდიკატორები

## 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2020 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, კეთილმოწყობა. არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული კოდი | დასახელება   | რიცხოვნობა | 2020 წელი      | 2021 წელი       | 2022 წელი        | 2023 წელი       |
|-----------------|--|------------|----------------|-----------------|------------------|-----------------|
| <b>02 01</b>    | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება                                 |            | <b>5600.4</b>  | <b>7,556.06</b> | <b>11,183.96</b> | <b>9,760.00</b> |
| 020101          | გზების მოვლა შენახვა   |            | 450.00         | 400.00          | 400.00           | 400.00          |
| 020102          | გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია                                  |            | 5150.4         | 7,156.06        | 10,783.96        | 9,360.00        |
| <b>0202</b>     | <b>წყლის სისტემების განვითარება</b>                                |            | <b>6937.6</b>  | <b>4,560.00</b> | <b>1,080.00</b>  | <b>1,030.00</b> |
| 020201          | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია                                |            | 1,505.0        | 1,105.00        | 1,055.00         | 1,005.00        |
| 020202          | სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია                     |            | 4702.8         | 3,430.00        | 0.00             | 0.00            |
| 020203          | საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა   |            | 649.8          | 25.00           | 25.00            | 25.00           |
| 020204          | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია |            | 80.00          | 0.00            | 0.00             | 0.00            |
| <b>0203</b>     | <b>გარე განათება</b>   | <b>7</b>   | <b>1,416.2</b> | <b>1,029.13</b> | <b>1,034.84</b>  | <b>1,040.56</b> |
| 020301          | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია                                 | 7          | <b>367.7</b>   | <b>254.28</b>   | <b>254.28</b>    | <b>254.28</b>   |
| 020302          | გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი  |            | <b>769.0</b>   | <b>774.85</b>   | <b>780.57</b>    | <b>786.29</b>   |
| 020302          | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში                      |            | <b>279.5</b>   | 0.00            | 0.00             | 0.00            |
| <b>0204</b>     | <b>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</b>                        |            | <b>1300,00</b> | <b>1260.00</b>  | <b>560.00</b>    | <b>2560.00</b>  |

|             |  |          |                |                  |                  |                  |
|-------------|--|----------|----------------|------------------|------------------|------------------|
| 020401      | მუნიციპალური სატრანსპორტო<br>სისტემის სუბსიდირება                                    |          | 600.00         | 560.00           | 560.00           | 560.00           |
| 020402      | მუნიციპალური ტრანსპორტის<br>განახლება  |          | 700.00         | 700.00           | 0.00             | 2,000.00         |
| <b>0207</b> | <b>კეთილმოწყობა</b>  |          | <b>554.4</b>   | <b>496.00</b>    | <b>3,050.00</b>  | <b>1,050.00</b>  |
| 020701      | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა—<br>რეაბილიტაცია                                   |          | 504.4          | 446.00           | 1,000.00         | 1,000.00         |
| 020702      | შენობების ფასადების რეაბილიტაცია   |          | 0.0            | 0.0              | 2000.0           | 0.0              |
| 020703      | სადღესასწაულო ღონისძიებები   |          | 50.0           | 50.0             | 50.0             | 50.0             |
| <b>0208</b> | <b>სარიტუალო ღონისძიებები</b>  |          | <b>0.00</b>    | <b>0.00</b>      | <b>0.00</b>      | <b>0.00</b>      |
| 020801      | სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-<br>პატრონობა  |          | 0.00           | 0.00             | 0.00             | 0.00             |
| 020802      | სარიტუალო დარბაზების აღჭურვა,<br>რეაბილიტაცია, მშენებლობა                            |          | 0.00           | 0.00             | 0.00             | 0.00             |
| <b>0209</b> | <b>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის<br/>ფარგლებში განსახორციელებელი<br/>ღონისძიებები</b> |          | 0.00           | 0.00             | 0.00             | 0.00             |
|             | <b>სულ პრიორიტეტი</b>  | <b>7</b> | <b>15808.6</b> | <b>15,321.19</b> | <b>16,908.81</b> | <b>15,440.56</b> |

### 1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

|  |       |
|--|-------|
| <b>პროგრამის კოდი:</b>   | 02 01 |
| <b>პროგრამის დასახელება:</b>   |       |
| საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება   |       |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>  |       |
| სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური  |       |
| <b>პროგრამის მიზანი:</b>   |       |
| საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება   |       |
| <b>პროგრამის აღწერა:</b>   |       |
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 540 კვ. კმ . საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმას მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 20 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბლიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვა, შუქნიშნების მოწაფი და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა |       |
| <b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>  |       |
| შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა  |       |
| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები   |       |

| №  | გაზომვის<br>ერთეული     | საბაზისო<br>მაჩვენებელი | მიზნობრივი<br>მაჩვენებელი | ცდომილები<br>ს<br>ალბათობა( %, აღწერა) | შესაძლო<br>რისკები                    |
|--|-------------------------|-------------------------|---------------------------|--|---------------------------------------|
| რეაბილიტირებული გზები,<br>სტანდარტების შესაბამისად | პროცენტი                | 50                      | 70                        | 10%                                    | დაფინანსება,<br>ხარვეზიანი<br>პროექტი |
| კმაყოფილი მოსახლეობა (ან<br>უკმაყოფილება)          | კმაყოფილების<br>ინდექსი | არ გვაქვს               | 25%                       | 10%                                    | სუბიექტური<br>აზრი                    |

### 1.1.1 გზების მოვლა შენახვა

|                    |        |
|--------------------|--------|
| ქვეპროგრამის კოდი: | 020101 |
|--------------------|--------|

ქვეპროგრამის დასახელება:

გზების მოვლა შენახვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის მიზანი:

გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადები საღებავით, მიწის ვაკისის მოშანდაკება ავტოგრეიდერით, ბზარების ამოვსება ა/ბ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღვევი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

| დასახელება                                       | პროდუქტები          |               |                   |                |
|--|---------------------|---------------|-------------------|----------------|
|  | გაზომვის<br>ერთეული | რაოდენობ<br>ა | ერთ. საშ.<br>ფასი | სულ (ლარი)     |
| ასფალტის საფარიანი გზების ორმოული<br>შეკეთება    | კვ.მ                | 2500          | 29                | <b>72.500</b>  |
| სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადები<br>საღებავით | კვ.მ                | 1845          | 40                | <b>73,800</b>  |
| ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით გზების დაფარვა           | კუბ.მ               | 9000          | 27                | <b>270.000</b> |
| სიჩქარის შემზღვევი ბარიერების<br>მოწყობა         | ცალი                | 95            | 150               | <b>14.250</b>  |
| ქვიშა-მარილის ნარევი                             | ტონა                | 90            | 87.78             | <b>7,900</b>   |
| საგზაო ნიშნების მოწყობა                          | ცალი                | 55            | 210               | <b>11.550</b>  |
| სულ ქვეპროგრამა                                  |                     |               |                   | <b>450,000</b> |

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი**

**გეგმა**

| დასახელება   | 1 | 2<br>კვარტალი | 3<br>კვარტალი | 4 კვარტალი |
|--|---|---------------|---------------|------------|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე<br>ასფალტის საფარიანი გზების მოვლა შენახვა | X | X             | X             | X          |

**მოსალოდნელი შედეგი**

შენარჩუნებული აფალტის საფარი

**ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები**

| № | ინდიკატორი             | 2020 წელი |
|---|------------------------|-----------|
| 1 | საბაზისო მაჩვენებელი   | 540       |
|   | მიზნობრივი მაჩვენებელი | 540       |

**1.1.2 გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია**

|                           |        |
|---------------------------|--------|
| <b>ქვეპროგრამის კოდი:</b> | 020102 |
|---------------------------|--------|

**ქვეპროგრამის დასახელება:**

|                                   |
|-----------------------------------|
| გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია |
|-----------------------------------|

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

|   |
|---|
| სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
|---|

**ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა:**

|  |
|--|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, 2020წლისთვის იგეგმება დაახლოებით <b>98081</b> კვ.მ გზის მშენებლობა რეაბილიტაცია. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა. |
|--|

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

| დასახელება   | პროდუქტები    |                      |                 |               |          |
|--|---------------|----------------------|-----------------|---------------|----------|
|  | რაოდე<br>ნობა | ერთ.<br>საშ.<br>ფასი | ადგილობ<br>რივი | ტრანსფე<br>რი | სულ      |
| ქ. მარნეულში იაღლუჯის დასახლებაში ეკოემიგრანტების<br>დასახლებაში შიდა გზების მოწყობა | 13725         | 72.92                | 1000.000        |               | 1000.000 |
| სოფ. ხუტორ ლექბადინში გზის მოასფალტება   | 3429          | 72.92                | 250.000         |               | 250.000  |
| სოფელ სადახლოს შიდა გზების რეაბილიტაცია(თანადაფინანსება)                             | 7200          | 72.92                | 157,509         |               | 157,509  |
| სოფ დამიას მისასვლელი გზის მოასფალტება(თანადაფინანსება)                              | 9000          | 68.12                | 186,916         |               | 186,916  |

|  |              |       |                 |                 |                 |
|--|--------------|-------|-----------------|-----------------|-----------------|
| მოლაოდლის მისასვლელი გზის<br>რეაბილიტაცია(თანადაფინანსება) | 7965         | 68.11 | 162,741         |                 | 162,741         |
| სოფელ შულავერში შიდა გზების მოასფალტება                    | 7889         | 69.13 | 545.291         |                 | 545.291         |
| სოფელ დაშტაფის შიდა გზების მოასფალტება                     | 11007        | 67,37 | 37.075          | 704,420         | 741,495         |
| სოფელ გაჯისაქენდის მისასვლელი გზის მოასფალტება             | 7115         | 70,48 | 25.073          | 476,386         | 501,459         |
| ხულდარას მისასვლელი გზის რეაბილიტაცია                      | 8312         | 73,98 | 95.273          | 519.680         | 614,953         |
| სოფელ იმირჭალის გზის რეაბილიტაცია                          | 4000         | 75    | 300,000         |                 | 300,000         |
| სოფელ იმირჭალის გზის რეაბილიტაცია                          | 2667         | 75    | 200,000         |                 | 200,000         |
| სოფელ ბურმა თაზაქენდის გზის რეაბილიტაცია                   | 1000         | 75    | 300,000         |                 | 300,000         |
| სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება                  |              |       | 190,000         |                 | 190,000         |
| <b>სულ ქვეპროგრამა</b>                                     | <b>98081</b> |       | <b>3449.878</b> | <b>1700,486</b> | <b>5150,364</b> |

#### მოსალოდნელი შედეგი

რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები |  |  |              |              |              |              |                                     |   |                     |                            |
|---|--|--|--------------|--------------|--------------|--------------|-------------------------------------|---|---------------------|----------------------------|
| N.  | ინდიკატორი   |  | 2020<br>წელი | 2021<br>წელი | 2022<br>წელი | 2023<br>წელი | გაზ<br>ომვ<br>ის<br>ერთ<br>ეუ<br>ლი | ცდ<br>ომი<br>ლებ<br>ის<br>ალბ<br>ათო<br>ბა<br>(%) | მეთო<br>დოლ<br>ოგია | შესაძლ<br>ო<br>რისკებ<br>ი |
| 1   | საბაზის<br>ო<br>მაჩვენე<br>ბელი<br>მიზნობ<br>რივი<br>მაჩვენე<br>ბელი | წლის განმავლობაში რეაბილიტირებული (ასფალტირებული, ასფალტო-ბეტონის საფარი, ბეტონის, გრანიტის საფარი) საავტომობილო გზების წილი (%) ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში. | 4 %          | 5 %          | 6.36%        | 9.26%        | კვ.მ<br>10%                         | სნიპი<br>#2                                       | დაფინა<br>ნსება     |                            |
|   |  |  | 5 %          | 6.36%        | 9.26%        | 6.73%        |                                     |   |                     |                            |

#### 1.2 წყლის სისტემები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურის განვითარება

0202

პროგრამის დასახელება:

წყლის სისტემების განვითარება

## პროგრამის განმახორციელებელი:

სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

## პროგრამის მიზანი:

**მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა**

## პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება 11258 აბონენტს, დარჩენილი მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები. და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც სამუშალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულოების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და კანალიზაციის სისტემა რადგან დღეის მდგომარეობით იგი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი და მოამტებული ნალექის შემთხვევაში მის გატარებას.

## მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა

## საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

| №   | გაზომვის ერთეული | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების აღბათობა(%, აღწერა) | შესაძლო რისკები |
|---|------------------|----------------------|------------------------|--------------------------------|-----------------|
| რეგისტრირებული აბონენტების საერთო რაოდენობა   |                  | 11258                | 13430                  |                                |                 |
| სოფლად არსებულო ოჯახების რაოდენობა რომლებიც ჩართული არიან არიან საკანალიზაციო ქსელის გამწერდ ნაგებობაში | კომლი            | 120                  | 240                    | 10%                            |                 |
| რეაბილიტირებული სანიაღვრე ქსელის სიგრძე   | მეტრი            | 0                    | 1000                   | 10%                            |                 |

### 1.2.1 სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია

|                    |        |
|--------------------|--------|
| ქვეპროგრამის კოდი: | 020201 |
|--------------------|--------|

## ქვეპროგრამის დასახელება:

სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია

## ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ეკონომიკის სამსახური

## ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის წყლის მიწოდების სერვისის გამართული ფუნქციონირება

## ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე შ.კ.ს. "მარნეულის სოფწყალის" სუბსიდირება, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტის 54 სოფლისათვის, 11258 აბონენტი, სასმელი წყლის მიწოდებას და სარწყავი წყლის სისტემით მომსახურებას. ხდება ქსელის დაზიანების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოები. ასევე დაფინანსდება ქ.მარნეულში არსებული შადრევანის წყლით მომარაგება.

#### ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

| დასახელება   | პროდუქტები       |                        |                        |
|--|------------------|------------------------|------------------------|
|  | სულ              | ადგილობრივი<br>ბიუჯეტი | საკუთარი<br>შემოსავალი |
| <b>ადმინისტრირება</b>  | <b>992380</b>    | <b>201,500</b>         | <b>790,880</b>         |
| მ.შ.შრომის ანაზღაურება   | 937,320          | 200,000                | 737,320                |
| მ.შ.ოფისის ხარჯი   | 45,060           | 1,500                  | 43,560                 |
| მ.შ.სოციალური ანაზღაურება  | 10,000           |                        | 10,000                 |
| ელექტრო ენერგი შესყიდვის ღირებულება  | 567,800          | 567,800                |                        |
| ნედლეული, ძირითადი და მხმარე მასალები და სათადარიგო ნაწილები                     | 314,300          | 168,600                | 145,700                |
| ქიმიური რეაგენტები (ქლორი)   | 20,000           | 20,000                 |                        |
| სასმელი წყლის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები (ლაბორატორია)            | 40,000           | 40,000                 |                        |
| ბუნებრივი რესურსების მოპოვების და სარგებლობის მოსაკრებელი                        | 33,600           | 33,600                 |                        |
| ჭაბურღილის ქსელის ჰიდროლოგიური შესწავლისა და წყლის მარაგების გაანგარიშების ხარჯი | 60,000           | 60,000                 |                        |
